

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #004/14¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

სოფიკო პეტრიაშვილი (სტუდენტი)

შეკითხვა:

ირღვევა თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, როდესაც საადვოკატო ბიუროს სლოგანია „შედეგიანი პასუხისმგებლობა“.

ანალიზი:

აპეკ-ის მერვე ¹ მუხლი არეგულირებს საადვოკატო საქმიანობის რეკლამირების საკითხს, რომლის თანახმად, „ადვოკატი უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი საქმიანობის რეკლამირება იმ პირობით, რომ გავრცელებული ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, დაცულია პროფესიის ძირეული ფასეულობები და პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე“.

პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ადვოკატებს, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლებს, საკუთარი საქმიანობის შესახებ მაქსიმალურად დახვეწილი და ლაკონური სიტყვათა შეხამებით უნდა შეეძლოთ საუბარი. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი არ განმარტავს ცნებას „სლოგანი“, თუმცა მნიშვნელოვანია ისიც რომ შინაარსი მარტივად აღსაქმელი იყოს და არ საჭიროებდეს დამატებით განმარტებებს. პროფესიული სტანდარტი ადვოკატს უზღუდავს კლიენტთან ურთიერთობისას საქმის შედეგზე გარანტიის მიცემას.

რეკლამის რეგულირებასთან მიმართებით, ეთიკის კოდექსის მე-8 პრიმა მუხლი უთითებს საადვოკატო საქმიანობის რეკლამირებისას ინფორმაციის იმგვარად გავრცელებაზე, რაც შეცდომაში შემყვანი არ იქნება ნებისმიერი მესამე პირისათვის. სლოგანში გამოყენებული სიტყვები: „შედეგიანი პასუხისმგებლობა“ შესაძლოა მიმზიდველი აღმოჩნდეს პოტენციური 3 მომხმარებლისათვის და არასწორი მოლოდინი შეუქმნას კლიენტს საქმის შედეგზე საადვოკატო ბიუროს მიერ პასუხისმგებლობის აღებასთან მიმართებით.

დასკვნა:

საადვოკატო ბიუროს მიერ სლოგანის „შედეგიანი პასუხისმგებლობა“ გამოყენება მიზანშეწონილი არ არის აპეკ-ის მე-8 (3) მუხლისა და მე-8¹ მუხლის შესაბამისად, რადგან სლოგანში მითითებული სიტყვების შინაარსის ერთმნიშვნელოვნად განმარტება შეუძლებელია, სლოგანის არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია შესაძლოა შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდეს პოტენციური მომხმარებლისათვის და აღქმული იქნეს, როგორც გარანტია კლიენტის იურიდიული ინტერესიდან გამომდინარე, მისთვის მნიშვნელოვან საქმის შედეგზე. საქმის შედეგზე გარანტიის მიცემის დაუშვებლობა საადვოკატო საქმიანობაში ერთ-ერთი ძირეული პროფესიული ღირებულებაა ადვოკატის, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლის საქმიანობისა და პროფესიული დამოუკიდებლობისთვის.

¹ <https://www.gba.ge/pdf/5c7fb88b1bd6f.pdf/08%20May%202014%20004.14.pdf>